№01/20

20.05.2022 წ.

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
20 05 2022 წ.
№ 1674

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელს

ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ შპს „ქვიშა ბათუმი"-ს (ს/კოდი: 445537839) დაგეგმილი აქვს ქ. ბათუმში,აკაკი შანიძის ქ. №3-ში მდებარე, შპს „ნაზირი და კომპანია"-ს (ს/კოდი: 248429446) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №05.35.28.246) სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია .

შპს „ქვიშა ბათუმი"-ს დაგეგმილი საქმიანობა მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს II დანართის 5.1 ქვეპუნქტით (სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავე კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას. ამიტომ დაგეგმილმა საქმიანობამ ამ კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად გაიარა სკრინინგის პროცედურა და „ქ. ბათუმში, შპს „ქვიშა ბათუმის" მიერ სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 22 აპრილის №2-484 ბრძანების თანახმად, აღნიშნული საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-6 მუხლის შესაბამისად გზშ-ს ძირითადი ეტაპებია ამ კოდექსის მე-8 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული სკოპინგის პროცედურა, შემდგომ ამ კოდექსის მე-10 და მე-11 მუხლებით განსაზღვრული გზშ-ს პროცედურა და ამ კოდექსის მე-12 მუხლის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-8 და მე-9 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სკოპინგის პროცედურის საფუძველზე, „ქ. ბათუმში, შპს „ქვიშა ბათუმის" სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღი) გადამუშავებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 დეკემბრის N 2-1644 ბრძანებით გამოცემული იქნა 2021 წლის 31 მაისის №27 სკოპინგის დასკვნა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს და „ქ. ბათუმში, შპს „ქვიშა ბათუმის" სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-ღორღი) გადამუშავებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 15 დეკემბრის N 2-1644 ბრძანებით გამოცემული 2021 წლის 02 დეკემბრის №61 დასკვნის შესაბამისად მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში და კანონმდებლობით გათვალისწინებული საჭირო დოკუმენტაცია.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წარმოგიდგენთ შპს „ქვიშა ბათუმი"-ს სასარგებლო წიაღისეულის (ქვა-

ღორღის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად) და გთხოვთ არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: 1. გარემოზე ზემოქმედების ანგარიში (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ;
2. არატექნიკური რეზიუმე (დოკუმენტების ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 1 ეგზ.;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზ.დ.გ.) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
4. ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებების ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი (დოკუმენტის ნაბეჭდი და ელ. ვერსია)- 2 ეგზ;
5. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ ინფორმაცია, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად);
6. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;

7. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

პატივისცემით,
მეჰმეთ ქუთანოღლუ
შპს „ქვიშა ბათუმი"-ს დირექტორი